ხელშეკრულება N ხაზ/98
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

21.11.2011 წელი

დაიდო, ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონალური განყოფილების (შემდგომში „შემსყიდველი") უფროსს კონსტანტინე გვეტაძეს და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორს"–ის გენერალური დირექტორის ნდობით აღჭურვილ პირს რაჟდენ ზვიადაძეს (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: საბურავი–VOLT 175 /80-16 VLI5 (6.95-16) 2 ცალი, (შემდგომში „საქონელი") შეძენა.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი.

2.2.„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება # 9 (მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა")

2.3. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონალური განყოფილების ასიგნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 340 (სამასორმოცი ლარი) ლარს.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – „შემსყიდველის" სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი, რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება „მიმწოდებელს".

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. „საქონელის" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1 „საქონელის" მიწოდების ადგილი–ქ.ქუთაისი.

6.3 „საქონელის" მიწოდების ვადაა –05.12.2011.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „საქონელის" მიწოდების დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

7.2. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება მოწოდებული „საქონელის" საბოლოო შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედდებული-მიწოდებული „საქონელის" დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

7.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.4. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა „საქონელის" დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

7.6. „საქონელის" მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, აუცილებლობის შემთხვევაში გამოცვლას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება საქონელის“ უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, საქონლის მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

8.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებლმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ანგარიშფაქტურები საქონელის აღწერით, საქონელის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9. 2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „საქონელი“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

9.2.2 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილებელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგენა დაუძლეველი ძალა.

9.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მეერ მიწოდებული „საქონელის“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „საქონელის“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.3. მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.4. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1. მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

10.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ.პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება.შესაბამისი დადასტურება.

10.3. „მიმწოდებელის“ პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი „საქონელის“ ფარგლებში, არამედ „შემსყიდველისათვის“ იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

10.4. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.5. ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.7.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „საქონელი“.

10.7.2.თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „საქონელის“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

10.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.9. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.9.2.თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11. პირგასამტეხლო

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

11.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

11.3. ხელშეკრულების გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი მხარე ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

11.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

12.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედის ძალაშიხელმოწერის დღიდან, ვადა განისაზღვრება: 05.12.2011წლამდე.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონალური განყოფილება ქუთაისი, ოცხელის ქN2. საიდენტიფიკაციო კოდი 211324351 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ქუთ/ ფილ. ბანკის კოდი:UGEBGE 22605 ანგ.ნომერი:GE91VT0500000006183688 უფროსი_____ პ.გვეტაძე	შპს „თეგეტა მოტორსი“ მის:თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12კმ,N5 ს/კ: 202177205 სს „თიბისი ბანკი“–ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: 220101830 ანგ. ნომერი: GE80TB0600000024467853 ტელ: (832) 224 44 44 წარმომადგენელი:_____/ მ.ბვიადაძე/ ბ.ა.

ხელშეკრულება N ხაზ/101
(მომსახურეობის გაწევის შესახებ)

ქ.ქუთაისი 14.12.2011წელი

ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონალური განყოფილება უფროსის კონსტანტინე გვეტაძის სახით, ერთის მხრივ (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს "თეგი" დირექტორის კ. ლომთაძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი"),ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

ხელშეკრულების საფუძველი

- საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება #9 (მუხლი 3, პუნქტი1, ქვეპუნქტი ა)
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონალური განყოფილების ასიგნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ავტომობილის ნივა SWS–425–ის ტექნიკური მომსახურეობა.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ავტომობილის ნივა SWS–425–ის ტექნიკური მომსახურეობა. (შემდგომში „მომსახურეობა").

3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშწსორების ფორმა და წესი

3.1. გასაწევი მომსახურეობის ღირებულება შეადგენს: 342 (სამასორმოცდაორი) ლარს.

3.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით მომსახურეობის გაწევისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. „შემსრულებელმა" უნდა უზრუნველყოს მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკისა და წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებათა შესაბამისად მომსახურების გაწევა.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

5.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „შემსრულებლისათვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

5.1.2. გაწეული მომსახურების შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება მომსახურების გაწევიდან არანაკლებ 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

5.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

5.2.1. „შემსრულებლისაგან" მოითხოვოს მომსახურების გაწევას ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში.

5.2.2. „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.2.3. თავად ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „შემსრულებლის" მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

5.2.4. „შემსრულებლისაგან" მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება.

5.3. „შემსრულებელი" ვალდებულია:

5.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მომსახურეობა.

5.3.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი.

5.3.4. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.

5.3.5. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტი.

5.3.6. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან /და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

5.3.7. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

<u>5.4. „შემსრულებელი" უფლებამოსილია:</u>

5.4.1. „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „შემსრულებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი ან სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

6.3. ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად , წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

6.4. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

6.5. „შემსრულებელი" ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი.

7. უფლებების გადაცემა

7.1. „შემსრულებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ხორციელდება „შემსყიდველის" ადგილსამყოფელის მიხედვით.

8.3. გაწეული მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „შემსრულებელი".

8.4. გაწეული მომსახურების მოცულობის ან წუნდების მიზეზის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

9.ფასები

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10. სუბკონტრაქტორები

10.1. „შემსრულებელმა" წერილობით უნდა აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასაფორმებელი ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს დასადები ხელშეკრულების პროექტის ასლი.

10.2. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს „შემსრულებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

11.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის , მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას არნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ფორს–მაჟორული სიტუაცია

13.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

13.2. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნეკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

13.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს–მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი)დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებათა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები გადაიხდიან ჯარიმას.

15.2. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

15.3. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების მოქმედების შეწვეტა

16.1. ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

16.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.5. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულ სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17,3, ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.5. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.6. „შემსრულებლის" მიერ შესრულებული სამუშაოების ან მისი ეტაპი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ, მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

17.7. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 31.12.2011წელი.

18.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

18.4. ხელშეკრულების მოქმედება წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ–კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ითვალისწინებს და არ შეიძლება ცდებოდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონს.

19.2. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „შემსრულებელს".

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„შემსრულებელი"
ლ საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონალური განყოფილება	შპს „"თეგი"
მის: ქუთაისი, ოცხელის ქN2	მის:ქუთაისი, რუსთაველის 179
ს/კ 211324351	ს/კ: 212694672
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ქუთაისის ფილ.	თიბისი ბანკის ქუთაისის ფილიალი
ბ/კ UGEBGE 22605	
ა/ა GE 91VT0500000051083602	ა/ა: GE28TB0300000010467871
	ტელ: 558 196691
უფროსი:_____/კ.გვეტაძე/	დირექტორი:_____/კ.ლომთაძე/